

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
მორიგი სხდომის  
ოქმი № 5

ქ. ახმეტა

06 თებერვალი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა:

გელა ჯუგაშვილი ახმეტის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:  
ახმეტის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს წევრები:

თ. წითელაური, ნ. აბალოიძე,  
გ. ქიტესაშვილი, ა. ფიცხელაური,  
რ. ბაღაკაშვილი, ზ. გარსევანიძე,  
ნ. ლუბიანური, ს. იჭირაული,  
თ. ბოდაველი, ა. მექვეერიშვილი,  
გ. მასურაძე, ა. მარუქაშვილი,  
ი. უჯირაული გ. შორთიშვილი,  
გ. უძილაური, თ. ბორჩაშვილი,

სხდომა გაიხსნა 10<sup>00</sup> საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ გელა ჯუგაშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგი.



დღის წესრიგი

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალების აქტიური ნაწილის ავტოსატრანსპორტო საშუალების ა(ა)იპ. "თუშეთის დაცული ლანდშაფტისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი - გოჩა ქიტესაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მიღება, რასაც დამსწრე ყველა წევრმა მხარი დაუჭირა.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალების აქტიური ნაწილის ავტოსატრანსპორტო საშუალების ა(ა)იპ. "თუშეთის დაცული ლანდშაფტისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი - გოჩა ქიტესაშვილი/

მომხსენებელმა განმარტა, რომ საკითხი ეხება პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით ააიპ "თუშეთის დაცული ლანდშაფტისათვის" სატრანსპორტო საშუალებას მაღალი გამავლობის ავტომობილი, მარკა - TOYOTA, მოდელი 4-RUNNER, გადაცემას.

„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 3 - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალების აქტიური ნაწილის ავტოსატრანსპორტო საშუალების ა(ა)იპ. "თუშეთის დაცული ლანდშაფტისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების მოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრე საკრებულოს წევრებს ხომ არ სურთ წინადადების დაყენება რაზეც საკრებულოს წევრებმა უარი განაცხადეს.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 10<sup>40</sup> საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



გელა ჯუგაშვილი